გამოსავლის ძიებაში: შესაძლებლობებიდან აუცილებლობამდე

დევნილთა პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობა საქართველოში

SEEKING SOLUTIONS: OPPORTUNITIES FOR POLITICAL AND SOCIAL PARTICIPATION OF IDPs

20 Galaktion Tabidze Street, 0105 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 93 50 88
E-mail: info@isnc.ge
www.isnc.ge

Foreign & Commonwealth Office

ISNC
ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS

სინერგია
დევნილთა ქსელი
IDP NETWORK

გამოსავლის ძიებაში: შესაძლებლობებიდან აუცილებლობამდე

დევნილთა პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობა საქართველოში

SEEKING SOLUTIONS: OPPORTUNITIES FOR POLITICAL AND SOCIAL PARTICIPATION OF IDPs

Foreign & Commonwealth Office

ISNC
ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS

სინერგია
დევნილთა ქსელი
IDP NETWORK

თბილისი
მარტი, 2015 წ.

კვლევა მომზადებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „სინერგია - დევნილთა გაძლიერება ჩართულობისა და თანამშრომლობის გზით“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის „სინერგიის“ მიერ.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“ და იგი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციას.

This document has been produced with the financial assistance of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland in the framework of the project ”Synergy - Empowering IDPs through Participation and Cooperation“. The project is implemented by the Institute for the Study of Nationalism and Conflicts (ISNC) in partnership with the Synergy network - a group of nongovernmental organizations working on issues concerning internally displaced persons.

The contents of this document are the sole responsibility of the Institute for the Study of Nationalism and Conflicts (ISNC) and the Synergy network and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.

Foreign & Commonwealth Office

ISNC
ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS

სინერგია
დევნილთა ქსელი
IDP NETWORK

შინაარსი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 5

კომპაქტურად მცხოვრები და კერძოდ მცხოვრები დევნილები 5

საცხოვრებლის პრობლემა 7

ფსიქოლოგიური ტრავმა და ინტეგრაცია 8

დევნილთა სოციალური აქტიურობა 10

დევნილთა პოლიტიკური აქტიურობა 12

სახელმწიფო სტრუქტურებთან დამოკიდებულება 14

ლიდერის პრობლემა 16

სამშვიდობო პროცესი 17

გამოსავლის ძიება 18

დასკვნა და რეკომენდაციები 21

Seeking Solutions: Opportunities for Political and Social Participation of IDPs 23

Conclusions and Recommendations 23

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ქვეყნისათვის ყველაზე ტრავმატული აღმოჩნდა სეპარატიზმი და მისგან გამოწვეული კონფლიქტები. ამ კონფლიქტების შედეგად, ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი საქართველოს ხელისუფლების კონტროლს გარეთ არის მოქცეული. აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან კი ასიათასობით მოქალაქე, ძირითადად ეთნიკური ქართველები, იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი გახდა. დევნილობის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ადამიანებმა ბევრი რამ გადაიტანეს – სიღარიბე, სტრესი, სტიგმა, დეპრივაცია. ახალგაზრდა და ქაოსით მოცულმა სახელმწიფომ, განსაკუთრებით პირველი ათწლეულის განმავლობაში, მათთვის ბევრი ვერაფერი გააკეთა.

სტიგმა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამოკიდებულება დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. დევნილები დღეისათვის საგრძნობლად უფრო ინტეგრირებულები და დამოუკიდებლები არიან. სახელმწიფოც გაცილებით უფრო ეფექტურია და დევნილთა განსახლების მიმდინარე პროგრამით (მიუხედავად თავისი ხარვეზებისა), ამ მოქალაქეებისათვის ზრუნვა უფრო გრძელვადიანი და ღირსეული გახდა. მაგრამ სახელმწიფო, დევნილთათვის საკუთრების გადაცემის გარდა, დღესდღეობით ბევრს ვერაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დევნილი მოქალაქეები ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებული, აქტიური მოქალაქეები იყვნენ. დემოკრატიულ სისტემაში კი საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტერესების დაცვისათვის აქტიურობა აუცილებელია და შეუცვლელია.

ეს კვლევა მიზნად ისახავს, თავად დევნილთა თვალით დავინახოთ მათი სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის საჭიროებები, შესაძლებლობები და პრობლემები, რათა ამის შედეგად უკეთ დაიგეგმოს მათი გადაწყვეტის გზები. ამ დროისათვის დევნილთა სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობაზე კვლევები და ანალიზი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ ეს ანგარიში გამოადგება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებსა და დონორ ორგანიზაციებს, ისე თავად დევნილთა თემს და მის აქტიურ ნაწილს, უკეთ დაინახონ შესაძლებლობები.

მეთოდოლოგია

იმ მიზნით, რომ თავად დევნილთა ხედვა და შეფასებები კარგად დაგვენახა, კვლევის ძირითად მეთოდად ფოკუს ჯგუფები ვარჩიეთ.საქართველოს მასშტაბით სულ 10 ფოკუს ჯგუფი ჩატარდა: ფოთში, ზუგდიდში, ხონში, ქუთაისში, წყალტუბოში, გორსა და თბილისში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შეირჩნენ ისე, რომ კვლევისას გამოკვეთილიყო არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები დევნილების მოსაზრებები და შეფასებები, არამედ მოგვეცვა დევნილთა ყველა ჯგუფი განსახლების ტიპების მიხედვითაც. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც კომპაქტურ ჩასახლებებში, ისე ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრებლებმა. რომელთაგან, ამ უკანასკნელებს, თავისი საკუთარი ან ნაქირავები საცხოვრებელი აქვთ. დისკუსიებში მონაწილეთა შორის იყვნენ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ორივე ტალღის დევნილები.

დისკუსიების გარდა, შევისწავლეთ არსებული ლიტერატურა და ჩავატარეთ ინტერვიუები ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებთან.

კომპაქტურად მცხოვრები და კერძოდ მცხოვრები დევნილები

იძულებით გადაადგილების პირველივე ხანებიდან დევნილები განსხვავდებოდნენ განსახლების მდგომარეობისა და ტიპის მიხედვით. ერთნი, რომელთაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის გარეთ არც საკუთრება გააჩნდათ და არც ნათესავებთან ცხოვრების საშუალება ჰქონდათ, სახელმწიფოსა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარების ამარა დარჩნენ. მათ თავშესაფრად იქცა სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული შენობები: სკოლები, ბაღები, სასტუმროები, საავადმყოფოები, რომელთაც დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ცენტრები ეწოდა. დევნილთა მეორე ნაწილს, რომელსაც უფრო მეტი სოციალური და ფინანსური კაპიტალი აღმოაჩნდა, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თავშესაფარში ცხოვრება არ მოუწია. ისინი ცხოვრობენ ნაცნობ – მეგობრებთან, ქირით, საუკეთესო შემთხვევაში კი თავისით მოახერხეს საკუთრების შეძენა. შესაბამისად, გასაკვირიც არაა, რომ დევნილობის დაწყებიდან ორი ათეული წლის მერე, ამ ორ ჯგუფს,(სახელმწიფოს კუთვნილ შენობა-ნაგებობებსა და კერძოდ მაცხოვრე-

ბელთა), შორის საერთოსთან ერთად, ბევრი განსხვავებაც გამოიკვეთა.

კვლევისას ამ ორ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები მართლაც გამოიკვეთა: კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები თავს უფრო ინტეგრირებულად თვლიან, ვიდრე კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებნი. ამასთან ერთად, კერძო სექტორში მცხოვრებნი მიიჩნევენ, რომ როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, მათ პრობლემებს ყურადღება ნაკლებად ექცევა.

„არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პროექტებით აქტიურად შემოდიან და გადიან, ხშირად ვერ ახერხებენ კერძო სექტორის მოცვას, თუნდაც კვლევების მიმართულებით, თუნდაც დახმარებაა რამე, თუნდაც პროგრამები, ტრენინგები, რომლებიც კეთდება მოსახლეობისათვის, ხშირად კერძო სექტორის მოსახლეობა გამოთიშულია ამ პროცესებისაგან.“

(გორი, მამრობითი)

ინტეგრირების ხარისხთან ერთად, განსაკუთრებით კერძოდ მცხოვრები დევნილები, თვლიან, რომ კომპაქტურად მცხოვრებნი მათგან განსხვავებით, უფრო დამოკიდებულ და უმწეო მდგომარეობაში არიან. მათი აზრით, ეს ხშირად იმის გამოა, რომ ეს ადამიანები უბრალოდ მიეჩვივნენ, რომ სახელმწიფომ ან ვინმე სხვამ უნდა მოუგვაროს ყოფითი პრობლემები და საკუთარ თავზე არავითარ პასუხისმგებლობასარ იღებენ. თვით ის ფაქტიც, რომ მიუხედავად დევნილის სტატუსისა, ადამიანი თავადაა პასუხისმგებელი საკუთარ კომუნალურ დანახარჯებზე, და სახელმწიფო არ უხდის თუნდაც ელექტრო ენერგიის გადასახადს, ადამიანებს საკუთარი თავის რწმენას და ღირსების შეგრძნებას მატებს.

ჩვენს დისკუსიებში, კერძო სექტორში მცხოვრები ადამიანები უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ არ სურთ დევნილები სხვის ხელებში შემყურედ დარჩნენ. თუმცა კი, იმასაც ამბობენ, რომ ამგვარი მასა ნებისმიერი ხელისუფლებისათვის უფრო სასურველი და ადვილი სამართავია.

„ლიდერებისათვის დევნილები ადვილი სამართავნი არიან. მაგალითად, შეიძლება მოვიდნენ და პატარა რამე მოუგვარონ. არიან ერთ ჩასახლებაში და სამართავად მოხერხებულია. ვთქვათ, განსახლების პროექტში დევნილებს გადაეცათ ბინის მუდმივი სარგებლობის უფლება და ამით წინა ხელისუფლებამ მოიპოვა დიდი რაოდენობის ხმები“.

(ფოთი, მდედრობითი, 45 წლის)

ზოგადად ითვლება, რომ კერძოდ მაცხოვრებელი დევნილები უფრო შეძლებულები არიან, ვიდრე კოლექტიური განსახლების ადგილებში მცხოვრები დევნილები. თავად კოლექტიურ ჩასახლებებში მცხოვრებნიც ამბობენ, რომ თუ ადამიანს შეუძლია თავს უფლება მისცეს, რომ სხვაგან წავიდეს, ამ გარემოში არავინ არჩევს დარჩენას. კოლექტიური საცხოვრებლის გარემოდან გასვლა კი, როგორც იკვეთება, სხვა დევნილებისაგან არა მხოლოდ ფიზიკურად დაშორებას იწვევს.

იკვეთება, რომ კერძო სექტორში მცხოვრებმა დევნილებმა გაცილებით უფრო ნაკლები იციან მათი უფლებების და იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებითაც სარგებლობა შეუძლიათ. ეს განსახლების სახელმწიფო პროგრამასაც შეეხება. როგორც ჩანს, გარდა იმისა, რომ კერძო სექტორის დევნილებმა ზოგადად გვიან გაიგეს ამ პროგრამის შესახებ, მის პროცედურებს ბიუროკრატიულს და დროში ზედმეტად გაწელილად თვლიან, რაც მათი აზრით, პროგრამის ეფექტურობას ამცირებს.

კერძოდ მცხოვრებ დევნილებთან საუბრისას გამოჩნდა, რომ ამ ჯგუფში, შესაძლოა, გარკვეულ ნაწილს, მათი სურვილის მიუხედავად, საერთოდ არ ჰქონდეს დევნილის სტატუსი. ეს განსაკუთრებით დევნილთა ბოლო, 2013–2014 წლებში ჩატარებული რეგისტრაციის გამო მოხდა. როგორც მათ აღნიშნეს, დასაქმებული, დაკავებული ადამიანისათვის, დიდი მცდელობის და რეგისტრაციისთვის რამდენჯერმე მიკითხვის მიუხედავად, შეუძლებელი იყო ამ პროცესის გავლა. ისინი საუბრობდნენ ცუდად ორგანიზებულ პროცესზე და დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ გარემოზე, რის გამოც, რამდენიმე საათიანი რიგში დგომისა და ლოდინის შემდეგ საერთოდ ხელი ჩაიქნიეს სტატუსისთვის ბრძოლაზე.[1]

„შემრცხვა რეგისტრაციისას აქტიურობის, როცა ის 28 ლარი[2] სხვას მართლა სჭირდება და შენ არა, მარტო სტატუსი გინდა.“

(თბილისი, მდედრობითი, 36 წლის)

1. ქსელმა "სინერგიამ", 2013 - 2014 წწ. იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემის) პროცესის მონიტორინგი ჩაატარა ზუგდიდში, ქუთაისსადა თბილისში. პროცესის მონიტორინგს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც აწარმოებდნენ. პროცესზე დაკვირვების შედეგად, რეგისტრაცია, როგორც პროცესი, ორგანიზებულობის კუთხით დადებითად შეფასდა.არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, რეგისტრაციის შედეგები არ იყო სათანადოდ გაანალიზებული, რაც ართულებს დევნილთა მიმართ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის, გრძელვადიანი განსახლების სწორ დაგეგმარებას.
2. ამ დროისათვის დევნილთა შემწეობა 45 ლარს შეადგენს.

დევნილებისვე თქმით, ამ მოუწესრიგებელი და დამამცირებელი პროცესის გამო მხოლოდ ინდივიდუალური დევნილები არ ზარალდებიან. ფულადი დახმარების ვერმიღებას კერძოდ მცხოვრები ბევრი დევნილი პრობლემადარ თვლის. მათთვის სტატუსს უფრო სიმბოლური და პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე, მაგალითად, ფინანსური ღირებულება. თუმცა, დევნილებისათვისამ სიმბოლური სტატუსის წართმევით თავად სახელმწიფო კარგავს მნიშვნელოვან ბერკეტს, რომლის მეშვეობითაც დევნილი მოსახლეობის რეალური რაოდენობას დაადგენდა.

„თუნდაც ამ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე მოსახლეობის რაოდენობა, და რომ ვიყავით უმრავლესობაში, ეს იყო ერთ–ერთი მთავარი არგუმენტი. შესაბამისად, ასეთ პირობებში დავკარგავთ ამ არგუმენტსაც.“
(თბილისი, მდედრობითი, 28 წლის)

საცხოვრებლის პრობლემა

დევნილები თვლიან, რომ მათ სპეციფიური, განსაკუთრებული პრობლემები და საჭიროებები აქვთ. პირველ რიგში, ყველა დისკუსიისას ასეთად დასახელდა საკუთარი სახლის და საკუთრების თითქმის უნივერსალური არარსებობა. დევნილები აცნობიერებენ ქვეყანაში ზოგადად არსებულ მძიმე სოციალურ ფონს და იმასაც, რომ არადევნილ მოსახლეობაშიც ძალიან ბევრი გაჭირვებულია. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში მათთვის გადამწყვეტი განსხვავება ისაა, რომ დევნილები მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით არიან გაჭირვებაში.

„მე რომ დღეს დევნილი ვარ, ეს ჩემი ბრალი არაა. ეს არაა იმის ბრალი, რომ, დავუშვათ, სკოლაში ორებზე ვსწავლობდი ან რამეს არასწორად ვაკეთებდი. ეს ამის ბრალი არ არის. ეს არის სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგი.“ (თბილისი, მდედრობითი)

„(ადგილობრივის) შემთხვევაში კი, თავისი ნებიდან გამომდინარეა – თუ არ მუშაობს და ზარმაცია, არ აქვს და ამიტომ ცხოვრობს ასე. ხოლო დევნილის შემთხვევაში ეს არის იძულებით. იძულებული ხარ, ამ ფართში რო იყვე. ეს არის სხვაობა ადგილობრივსა და დევნილს შორის.“ (გორი, მამრობითი)

გარდა ფიზიკური თავშესაფრის პრობლემურობისა, მათივე თქმით, სახლის არარსებობამ დევნილები

უფრო დამოკიდებულ ადამიანებად ჩამოაყალიბა. ბევრი დევნილის აზრით, როცა საკუთრება გაქვს, მაშინ მის მოვლასა და დაცვაზე უფრო ხარ ორიენტირებული შენი რესურსებითაც და უფრო მეტი სტიმული გაქვს, დამატებითი დახმარება მოიძიო, როცა შენი რესურსი არასაკმარისია.

„მე მინდა სახლი, რომ გავხდე საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. მერე არ დაველოდები იქ დახმარება ვიღაცას მისცეს–არ მისცეს. არ მინდა. მერე მე თვითონ მივხედავ ჩემს ცხოვრებას. მე არ მინდა, რომ ვინმეზე ვიყო დამოკიდებული. დავიღალე. ვზივარ და ველოდები.“ (გორი, მდედრობითი)

მიუხედავად იმისა, რომ დევნილებისათვის საკუთარი საცხოვრისის და საკუთრების არარსებობა ყველაზე დიდი პრობლემაა, სახელმწიფოს მიერ ამ პრობლემის მოგვარებისათვის ნაბიჯების გადადგმასაც მნიშვნელოვანი პრობლემები ახლავს. პირველ რიგში დევნილთა შორისაც არის უკმაყოფილება განსახლების პროცესის დაგეგმვის და მიმდინარეობის შესახებ, განსაკუთრებით კერძო სექტორში მცხოვრები დევნილებისაგან.

„ბევრ რამეს ვერ ვიგებთ ჩვენ, ანუ ინფორმაციულ ვაკუუმში ვართ და თითქოს დაკმაყოფილების მხრივაც უკანა პლანზე ვართ გადაწეულები. თუ ჩვენ, კერძო სექტორი, საკუთარი ძალით, თუ მეგობრით, თუ ნათესავით ვართ, მემგონი, ეს არ ქმნის იმ ფონს, რომ სახელმწიფოსაგანაც უკან იყო გადაწეული, თუნდაც ამ ფართებით დაკმაყოფილების მხრივ. აი, თუნდაც, ჯერ კომპაქტურად ჩასახლებულები უნდა დაკმაყოფილდნენ და მერე კერძო სექტორი.“

(გორი, მდედრობითი)

როგორც ჩანს, დევნილთა განსახლების მიმდინარე პროექტებმა შეიძლება ხელახლა დაძაბოს ურთიერთობები დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ქვეყანაში საყოველთაოდ არსებული მძიმე სოციალური ფონის პირობებში დევნილთათვის საცხოვრებლის გადაცემამ ადგილობრივ მოსახლეობას უფრო დაჩაგრულად აგრძნობინა თავი. ეს უკმაყოფილება განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობების მწირი შესაძლებლობების ფონზე მწვავედ ჩანს.

„(დევნილების)განსახლებააღიზიანებს ადგილობრივ მოსახლეობას. ვერ აცნობიერებენ, რომ ეს არ ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 21 წელი გავიდა, დევნილებმა ცუდი გზა გაიარეს, სანამ განსახლების პროექტში მოხვდებოდნენ. ამას არ აცნობიერებს ადგილობრივი.“ (ფოთი, მდედრობითი, 45 წლის)

პრობლემების გაღრმავების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია პროექტების დაგეგმვა – განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ისე არასახელმწიფო აქტორების აქტიურობა და ინფორმაციის გავრცელება.

ფსიქოლოგიური ტრავმა და ინტეგრაცია

დევნილობით გამოწვეული მატერიალური დანაკლისის გარდა, მნიშვნელოვნად გამოიხატა ფსიქოლოგიური მხარეც. დევნილები, როგორც თავად მათი ჯგუფური სახელიც გულისხმობს, პირადი დანაშაულის თუ ბრალის არარსებობის მიუხედავად, განდევნეს საკუთარი მიწიდან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უცხო ქვეყანაში არ ცხოვრობენ, მათ მაინც ახალ და უცხო გარემოში მოუწიათ იძულებით გადასვლა და სტიგმასთან გამკლავება. განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილებისათვის, მათი დევნილობის პირველ პერიოდში სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან არასაკმარისად ეფექტური იყო ფსიქო – სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებები.

„რეალურად ომის მერე არანაირი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მექანიზმი არ შემოუთავაზებია არც სახელმწიფოს და არც არავის.“

(თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

2008 წლის ომის შემდეგ დევნილთა ახალი ტალღისათვის ამგვარი დახმარების აღმოსაჩენად საქართველოს სახელმწიფოს გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობები და რესურსები ჰქონდა. ამ ყურადღების ფონზე, აფხაზეთიდან ე.წ. პირველი ტალღის დევნილები კიდევ უფრო დაჩაგრულად გრძნობენ თავს. თბილისში ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ აფხაზეთიდან დევნილობასთან დაკავშირებით აკადემიური კვლევები და მეხსიერებისა და ტრავმების შესწავლა ფაქტიურად, არც ყოფილა, ან ყოველ შემთხვევაში, მათ ამის შესახებ არაფერი სმენიათ. მართალია, მონაწილეები თვლიდნენ, რომ ძირითადი დახმარება მათ ომის მერე მალევე უნდა მიეღოთ და ახლა ბევრი რამ შეიძლება დაგვიანებულიც იყოს, მაინც ხედავენ აუცილებლობას, რომ ამ ტრავმების ეფექტები სახელმწიფოს მხრიდან თუ არა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური ინსტიტუტების მხრიდან შესწავლილი უნდა იქნას.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი განსახლების ადგილებში დევნილთა უმეტესობა წლებია ცხოვრობს, როგორც ჩანს,დევნილობის 20 წლის მერეც, ინტეგრაციის პრობლემა სხვადასხვა დასახლებასა და ჯგუფში კვლავაც რჩება. ტენდენციად ისიც გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დევნილობის პერიოდში დაიბადნენ, გაცილებით უფრო ინტეგრირებულები არიან, ვიდრე მათი მშობლები. უფროსი თაობის ინტეგრაციის მხრივ, უმრავლესობის აზრით, მაინც ინდივიდუალურად, ადამიანებზეა დამოკიდებული ინტეგრაციის ხარისხი

– ზოგი სოციალურად უფროაქტიურია, ზოგიც ნაკლებად. თუმცა, აღინიშნა განსახლების ადგილის გავლენაც – ისეთ დასახლებებში, სადაც დევნილები კომპაქტურად ცხოვრობენ, ინტეგრაციის შეგრძნება უფრო ნაკლებია, ვიდრე უფრო შერეულ დასახლებებში. ამავე დროს ყველგან აღინიშნა, რომ დევნილობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინტეგრაციის ხარისხი გარდაუვლად გაიზარდა. 90-იანი წლების სტიგმა და უნდობლობა დევნილებში დღეისათვის უფრო ნაკლებად იგრძნობა, თუმცა მის გაქრობაზე საუბარი მაინც ნაადრევია. მაგალითად, დისკუსიაში ისიც აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მაცხოვრებელი არასოდეს იყიდის ბინას დევნილთა დასახლებაში და რომ ასეთ დასახლებებში საცხოვრებელი გაცილებით უფრო იაფი ღირს, ვიდრე ისეთივე ხარისხის ბინა, რომელიც დევნილთა დასახლებაში არ მდებარეობს.

მონაწილეებმა კვლავ ახსენეს ადგილობრივ მოსახლეობას შორის დევნილზე ქორწინების არასასურველობა. რამდენიმეჯერ ასევე ახსენეს, რომ დევნილობაში დაბადებულ ბავშვთა ნაწილის მშობლებს არც სურს, ბავშვებს დევნილის სტატუსი ჰქონდეთ, რაც სწორედ სტიგმას უკავშირდება. ასევე აღინიშნა ისიც, რომ წარმატების მიღწევის შემთხვევაშიც კი, ქართული საზოგადოება დევნილს კვლავაც აგრძნობინებს, რომ სხვანაირია – უკვირთ, როცა იგებენ, რომ ისინი აფხაზეთიდან არიან. მონაწილეთა თქმით, სტერეოტიპი, თუ როგორია დევნილი, ჯერ კიდევ ცოცხალია. ამიტომაც, ითქვა, რომ ისინი არ უსვამენ ხაზს დევნილის სტატუსს და ამის შესახებ მხოლოდ პირადულ საუბრებში თუ გაუზიარებენ კოლეგებსა და ნაცნობებს.

სტიგმის და ინტეგრაციის დაუსრულებლობის კიდევ ერთ მიზეზად, განსაკუთრებით დედაქალაქის გარეთ, დასაქმების პრობლემას მიიჩნევენ. დევნილთა თქმით, ადგილობრივებს ურჩევნიათ ისეთი ადამიანები აიყვა-

ნონ სამსახურში, რომლებსაც იცნობენ და ნათესაური კავშირი აქვთ. კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებთათვის კი სოციალიზაცია ძირითადად ჯგუფის შიგნით ხდებოდა. ამ ფაქტორისა და სტიგმის ერთობლიობა კი, მათი აზრით, დევნილთა ნაკლებად დასაქმებას იწვევს.

დისკუსიებისას გამოიკვეთა დევნილების მიერ საკუთარი ჯგუფის ვიქტიმიზაციაც. საინტერესოა, რომ საუბრისას მონაწილეები არასდროს საუბრობდნენ იმ დევნილ ადამიანებზე, რომლებიც საზოგადოებრივ სივრცეში თუ პოლიტიკურ კლასში წარმატებულები არიან. უფრო პირიქით, ხაზი იმას ესმებოდა, რომ ამ სფეროებში და ზოგადად, საზოგადოებაში დევნილები არ ჩანან. თბილისში გამართული ერთი დისკუსიის მონაწილეებმა ეს იმით ახსნეს, რომ ტელევიზიისათვის დევნილთა თემი და თემა საინტერესო არაა. ტელევიზია კი საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ყველაზე ეფექტურ მექანიზმად რჩება.

„ეს თემა არ არის გაყიდვადი, პოპულარული, რეიტინგული.“ (თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

აქვე გამოიხატა, რომ დევნილთა თემაზე ყურადღების გამახვილებამ ამ თემის ვიქტიმიზაცია არ უნდა გაზარდოს. ამ დროისათვის კი, მედიაში დევნილთა წარმოჩენა სწორედ რომ ასე ხდება, რაც თავად დევნილებშიც უკურეაქციას იწვევს. ამის გამო დევნილთა ნაწილს ურჩევნია, რომ ასეთ გადაცემებს საერთოდ არ უყურეს

„სხვები კი არა, მეც ვიღლები უკვე. არასდროს აღარ ვუყურებ სექტემბრის თვეში სოხუმის დაცემის შესახებ, თუ დევნილები ყავთ და ტირიან. ხო, ცდილობ რომ გაექცე უკვე. იცი, რომ ეს შენი სინამდვილეა. მაგრამ იმდენად დაღლილი ხარ უკვე ამ სინამდვილისგან, რომ ცდილობ ეკრანიდან მაინც არ უყურო ამას და ვრთავ საერთოდ.“

(თბილისი, მდედრობითი, 39 წლის)

მედიის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება კი, დისკუსიების რამდენიმე მონაწილისათვის განსაკუთრებით გასაკვირია აღმოჩნდა იმ ფონზე, რომ მათი ინფორმაციით ქვეყანაში ერთ–ერთი ყველაზე გავლენიანი ტელევიზიის დირექტორი თავად არის აფხაზეთიდან დევნილი.[3] ასევე, როგორც მათ აღნიშნეს, ყველა საკითხს შეიძლება გამოუძებნო დადებითი და საინტერესო მხარე.

3. იგულისხმება რუსთავი2– ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

დევნილობის ორი ათწლეულის განმავლობაში სტიგმის შემცირება და ინტეგრაციის გაუმჯობესება შესამჩნევია. თუმცა, იკვეთება, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ არის პრობლემები. საქართველოში დევნილთა მდგომარეობის სრულფასოვანი კვლევის არარსებობის პირობებში მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება კვლევისა და დოკუმენტირების მიმართულებით. კვლევაზე დაფუძნებული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არასდროს იქნება დაგვიანებული.

დევნილთა სოციალური აქტიურობა

დისკუსიების დროს მონაწილეებს ვკითხეთ, თუ სოციალურადრამდენად აქტიურია თავად დევნილთა თემი.საუბრებისას ყველაზე თვალშისაცემად ის გამოიკვეთა, რომ სოციალური აქტიურობა მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საკუთარი სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის აქტიურობად აღიქვა. ამ შემთხვევაში, საკითხის გაგებაზე არავითარი გავლენა არ ჰქონია დისკუსიის მონაწილეთა განათლებას თუ დასაქმების სტატუსს. მიუხედავად იმისა, რომ მათეული ეს ხედვა სოციალურ აქტიურობად ვერაფრით ვერ ჩაითვლება, ანგარიშის ამ ნაწილში დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრებებს მიმოვიხილავთ.

საკუთარი პრობლემების მოგვარებაში აქტიურობის თვალსაზრისით, დისკუსიებში მონაწილეთა ნაწილმა განაცხადა, რომ აქტიურია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში, ისე ცენტრალური მთავრობის მიმართაც. დისკუსიებისას გამოჩნდა, რომ რამდენიმე მონაწილე დევნილთა ჩასახლების კომიტეტის თუ ამხანაგობის აქტიური წევრია, რომელიც კონკრეტული ჩასახლების პრობლემების მოსაგვარებლად იღწვის და მნიშვნელოვანი შედეგების მიღებასაც ახერხებს. ზოგმა მონაწილემ თქვა, რომ პირადი აქტიურობით გამორჩეული არაა. პასიურობის ძირითად მიზეზად წარსული გამოცდილება და იმედგაცრუება დასახელდა.

„ამ უიმედობის ფონზე, რომ პრობლემას მასიურად არ აგვარებენ, სტრუქტურებს არ მივმართავ ხოლმე. ალბათ არ ვარ აქტიური და მაინც ვარ უნდობლობით მოცული სტრუქტურების მიმართ. მე თავისუფალი დროც არ მაქვს ალბათ. ოთხმოცდაათიანების გადმონაშთი ვარ. ჩემს შვილებს ყოველთვის ველაპარაკები, რომ უნდა იყონ აქტიურები.“

(ფოთი, მდედრობითი, 36 წლის)

პასიურობის მიზეზად ხშირად ასევე დასახელდა ინფორმაციის ნაკლებობა და სამოქალაქო განათლების დაბალი დონეც. მაგრამ ასევე გამოითქვა სკეპტიკური დამოკიდებულებაც აქტიურობის შესაძლებლობების და შესაძლო შედეგების მიმართაც, რითაც შეიძლება აიხსნას აქტივობის მიმართ ნაკლები ინტერესი.

„უფლება როცა არის დარღვეული, შენ თვითონ უნდა მოითხოვო და აღიდგინო. სახლში არავინ მოგაკითხავს ამისთვის. თუ გააქტიურდები, ანუ ამ მთავრობის წინააღმდეგ, მაშინ ვიღაცის მიერ მართული ხარ. ანუ მე დიდ აზრს ამაში ვერ ვხედავ.“

(თბილისი, მდედრობითი, 36 წლის)

საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილთა უმეტესობის აზრით თვითონ, როგორც ჯგუფი, გაცილებით უფრო აქტიურები არიან. ამას ძირითადად იმას უკავშირებენ, რომ დევნილებს ახალი ცხოვრების დაწყება ნულიდან მოუხდათ, თანაც იმ პირობებში, როცა მათი ადექვატურად დახმარების უნარი სახელმწიფოს არ გააჩნდა. დევნილების აზრით, სწორედ ამ აქტიურობით შეძლეს გადარჩენა და დღევანდლამდე მეტ-ნაკლები წარმატებით მოსვლა.

„უფრო აქტიურები და განსხავებულები ვართ, ალბათ ჩვენმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ უფრო აქტიური გაგვხადა, სიცოცხლისუნარიანობა უფრო მეტად გვაქ.“

(წყალტუბო, 39 წლის, მდედრობითი)

დევნილებში აქტიურობის ცნება ძირითადად საკუთარი სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით მოქმედებას გულისხმობს. დევნილთა დიდი უმრავლესობის მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე ეს გასაგებიცაა. აღსანიშნავი ისაა, რომ აქტიურობა მთლიანად ინდივიდუალური პრობლემების მოგვარებაზეა მიმართული, იქნება ეს კონკრეტული ადამიანის მკურნალობის ხარჯების დაფარვა თუ რომელიმე კონკრეტული შენობის კომუნალური პრობლემების მოგვარება. ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას არ ყოფილა ნახსენები შემთხვევა, როცა დევნილებს ზოგადი პოლიტიკის თუ მიდგომის ცვლილებაზე გაეკეთებინოთ მობილიზება, რაც ყველა თუ არა, ერთი კონკრეტული პრობლემის მქონე ყველა დევნილს მაინც თანაბრად შეეხებოდა. საკუთარი ჯგუფის აქტიურობის ასეთი აღქმა დამაფიქრებელია, ვინაიდან დევნილთა მობილიზებისა და კონკრეტული პრობლემის ირგვლივ გაერთიანებისა და ქმედებების ბევრი წარმატებული

მაგალითი არსებობს, მათ შორის საკანონმდებლო დონეზეც. ამიტომაც, ეს ფაქტი დევნილი აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საკუთარ ბენეფიციარებთან მეტი კომუნიკაციის აუცილებლობაზე მიანიშნებს.

როგორც დისკუსიებიდან ჩანს, საკუთარი პრობლემებით დევნილები უფრო მეტად ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს მიმართავენ, ვიდრე ადგილობრივს. ცენტრალურ ორგანოებთან და მინისტრებთან წერილების გარდა სოციალური ქსელების გამოყენებითაც არის შესაძლებელი ურთიერთობა. ერთი დისკუსიისას ითქვა, რომ ამგვარი კომუნიკაცია საკმაოდ აქტიურია და აშკარაა, რომ ეს დევნილებისათვის მნიშვნელოვანია. მაგრამ მთავარი მაინც არა კომუნიკაციის ფორმები, არამედ ამ კომუნიკაციის ეფექტიანობა რჩება.

„მთავარია ეს კომუნიკაციის მაღალი დონე გამოხატული იყოს საქმის კეთებაში და შედეგების დადებაში.“

(ხონი, მამრობითი, 28 წლის)

თუმცა, მეორეს მხრივ, კრიტიკულად ისიც აღინიშნა, რომ დევნილებისათვის განკუთვნილი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ძირითადად სხვადასხვა ვებ – გვერდების საშუალებით ვრცელდება. საქართველოს მოქალაქეების დიდ ნაწილს კი ინტერნეტთან წვდომა და კომპიუტერული უნარები არ აქვს, რის გამოც ხშირად დაგვიანებით ან საერთოდ ვერ იღებენ მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

დისკუსიებში აღინიშნა, რომ ადამიანები მიმართავენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, მაგრამ, როგორც წესი, საკუთარი პრობლემების მომგვარებლად, პირველ რიგში, დევნილთა სამინისტროსა და მის ადგილობრივ წარმომადგენლობებს მოიაზრებენ. თუმცა, მათი მოქმედებებისა და შედეგების შეფასება, როგორც წესი, მაღალი არ არის. კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტიანად მოიაზრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. საინტერესოა, რომ აფხაზეთიდან დევნილების დისკუსიებში რამდენჯერმე აღინიშნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ეფექტურობა, რომელიც, მათი აზრით, გაცილებით უკეთ ახერხებს მიხედოს საკუთარ დევნილებს.

„ცხინვალის მთავრობა ცხინვალის დევნილის ინტერესებს კარგად იცავს. იმის მესამედი და მეოთხედი არ გაუკეთებია აფხაზეთის მთავრობას ჩვენთვის.“

(ხონი, მამრობითი, 50 წლის)

მსგავსი აზრი გორში ცხინვალის რეგიონიდან დევნილებთან ჩატარებული დისკუსიების დროს არავის გამოუხატავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალიდან დევნილები აფხაზეთიდან დევნილებს უფრო აქტიურებად თვლიან და მათ მიმართ ყურადღების შენარჩუნებას თავად დევნილთა დამსახურებად მიიჩნევენ და ამას აფასებენ. მას შემდეგ, რაც საცხოვრებლები დაკანონდა და კერძო საკუთრებაში გადავიდა, ცენტრალური ხელისუფლება აღარ იღებს საკუთარ თავზე დევნილების დაკმაყოფილებას და მათ ადგილობრივ თვითმმართველობებთან ამისამართებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ–ჯერობით ადგილობრივი თვითმმართველობებიც ამისათვის მზად არ არიან. დისკუსიის რამდენიმე მონაწილის თქმით, ჯერ არც სამართლებრივი საკითხებია ბოლომდე მოგვარებული და არც ფინანსური, რომ მათ სრულად განახორციელონ თავიანთი მოვალეობები. შედეგად, რამდენიმე დისკუსიაზე მონაწილე დევნილების თქმით, ისინი ყველაზე რთულ მდგომარეობაში სწორედ ახლა აღმოჩნდნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დევნილთა პრობლემებს სხვადასხვაგვარი წარმატებით ექცევა ყურადღება. დევნილები აცნობიერებენ, რომ თვითმმართველობების რესურსები შეზღუდულია, მაგრამ მაინც უკმაყოფილოები არიან. საინტერესო რამ გამოიკვეთა გორში, სამხრეთ ოსეთიდან / ცხინვალის რეგიონიდან დევნილებთან დისკუსიის დროს. გამოჩნდა, რომ მათ გაცილებით ურჩევნიათ ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ყველა დევნილს თანაბარ და ერთნაირ დახმარებას გაუწევს. რამდენიმე მონაწილემ ახსენა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი დახმარება თუ მომსახურება (მაგ. სახურავების შეცვლა და სურსათით დახმარება), რომელიც სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დევნილებს არ მიუღიათ. მათი თქმით, ასეთი არათანაბარი მიდგომა გაღიზიანებას იწვევს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ დევნილებისათვის გაუგებარია თვითმმართველობების როლი და ის, თუ როგორ უნდა მოხდეს თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა, საკუთარი ინტერესების წარდგენა და დაცვა.

დევნილთა პოლიტიკური აქტიურობა

დევნილთა აქტიურობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დევნილები თავს უფრო სოციალურად აქტიურებად მიიჩნევენ, ვიდრე პოლიტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ დევნილები არჩევნებში აქტიურად მონაწილეობენ, ძირითადად მხოლოდ ხმის მიცემით შემოიფარგლებიან. ზოგადად გავრცე-

ლებულია მოსაზრება, რომ დევნილები, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად მმართველ პოლიტიკურ ძალას აძლევენ ხოლმე ხმას. ამ შემთხვევაში, დევნილთა ხმების რაოდენობის განსაზღვრა იმ უბნების მონაცემებით შეიძლება, რომლებზეც, დევნილთა კონცენტრაცია, ამ ტერიტორიაზე მათი კოლექტიური ცენტრების არსებობის გამო, მაღალია. მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 23 ასეთი უბნიდან ერთის გარდა, ყველა უბანზე მმართველმა ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა, თანაც ოლქის მაჩვენებელზე უფრო მაღალი შედეგებით. ასევე გამოჩნდა, რომ სხვაობა გაცილებით უფრო საგრძნობი იყო იმ უბნებზე, რომლებშიც ახალი საცხოვრისები იყო აგებული - გორში, ბათუმსა და ფოთში.[4]

დევნილები აცნობიერებენ საკუთარი მასის ფიზიკურ სიდიდეს, თუმცა თავადვე აღნიშნავენ, რომ დღემდე ეს მასა ადვილად მანიპულირებადია და დიდი გავლენა არ აქვს პოლიტიკურ პროცესებზე.

4. დავით სიჭინავა (2014)საქართველოს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები. სადისერტაციო ნაშრომი

„აქტიური მოქალაქეობა არის, რა თქმა უნდა, აქტიური გამოხატვა შენი პოლიტიკური ინტერესის და შეხედულების, თუმცა საშუალო და მაღალი დონის აქტივობად ჩაითვლება მაშინ, როდესაც დევნილები თვითონ ჩათვლიან საჭიროდ რომ დააყენონ თავიანთი თავი იგივე წარმომადგენლობით ორგანოებში. იგივე დევნილებმა, ვთქვათ, იბრძოლონ, რომ რამდენიმე დეპუტატი ყავდეთ პარლამენტში“

(ხონი, მამრობითი, 28 წლის)

პოლიტიკურ პროცესებზე გავლენისათვის რამდენიმე გზა არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობა იმისათვის, რომ მათ პოლიტიკურ პლატფორმაში დევნილთა პრობლემატიკა უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი. ასევე მნიშვნელოვანი გზაა არჩევნებში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების ისე ეროვნულ დონეზე, დევნილთა კანდიდატების წამოყენება. ამ ყველაფრისათვის კი რამდენიმე პირობაა აუცილებელი. არჩევნების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება არადევნილი მოსახლეობისაგან დევნილი კანდიდატების მიმღებლობა და მხარდაჭერა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების დიდი უმრავლესობის აზრით, ქართული საზოგადოება ამისათვის მზად არ არის. ადგილობრივი თვითმმართველობების ან მაჟორიტარების არჩევნებისას, დევნილთა აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა დევნილს მხარს არ დაუჭერს, რადგან უპირატესობას ადგილობრივს მიანიჭებს. მონაწილეთა ნაწილის თქმით კი, სტატუსზე მეტად მნიშვნელობა ადამიანს ენიჭება და კონკრეტულ კანდიდატს მხარს იმის მიხედვით დაუჭერენ, პიროვნებას რამდენად მაღალი ნდობა და რეპუტაცია ექნება. ამის დასტურად მოიყვანეს მაგალითი, როცა ერთ–ერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დევნილებმაც კი არ დაუჭირეს მხარი დევნილ კანდიდატს, რადგან უკეთესი კანდიდატი ეგულებოდათ.

დევნილთა დისკუსიებიდან ყველგან ჩანს ზოგადი განწყობა და გამოცდილება, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში პრობლემური საკითხების მოგვარება იმ შემთხვევაშია უფრო ადვილი, როცა იქ ვინმე დევნილი მუშაობს. მაგრამ დისკუსიებში გამოჩნდა ისიც, რომ დღეისათვის, დევნილების აზრით, ისინი ამ სტრუქტურებში უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილნი. ასევე ნათლად გამოჩნდა იმის სურვილი, რომ მდგომარეობა ამ მიმართულებით შეიცვალოს.

„მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს გააჩნია სტრატეგია, გეგმებიც დაწერილია, მაინც ადამიანზეა დამოკიდებული, როგორი გამგებელი შეგხვდება... თუ გამგეობაში მუშაობს ვინმე აფხაზეთელი, კარგადაა საქმე.“ (თბილისი, მდედრობითი)

„მე მოვუწოდებდი ყველას, რომ ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყველა დასახლებას ყავდეს თუნდაც ერთი წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმმართველობაში.“
(ხონი, მამრობითი, 28 წლის)

გამოიკვეთა სიტუაცია, რომ დევნილები ადგილობრივ თვითმმართველობებს და მათ ბიუჯეტებს დევნილთა საჭიროებებზე მორგებულად არ მიიჩნევენ.

„1/3 ამომრჩეველი არის დევნილი და ადგილობრივ ბიუჯეტში დევნილისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ დასაფლავების 100 ლარი.“
(ზუგდიდი, მამრობითი, 45 წლის)

ცხადია, ასეთი უკმაყოფილების შემთხვევაში ისიცაა გასათვალისწინებელი, თუ რამდენად რეალისტური შეფასებები და მოლოდინები აქვთ დევნილებს. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ზუგდიდსა და ფოთში ჩვენთან ინტერვიუებში მიუთითებენ, რომ დევნილებისათვის, ისევე როგორც არადევნილი მოქალაქეებისათვის, მათი კარი ყოველთვის ღიაა. ისინი ასევე მიუთითებენ იმაზეც, რომ ამ დროისთვისაც აქტიურია კომუნიკაცია როგორც უშუალოდ დევნილებთან, ასევე დევნილების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ასე რომ, თვითმმართველობებში დევნილთა წარმომადგენლობასთან და მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით პრობლემებს ვერ ხედავენ.

მდგომარეობის ცვლილებისათვის დისკუსიებში მონაწილეებმა პირველ რიგში გააქტიურების და განათლების საჭიროებაზე ისაუბრეს. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ამ მხრივ სახელმწიფო არაფერს აკეთებს.

„გაუნათლებელი საზოგადოების მართვა ძალიან ადვილია. განათლებული საზოგადოების მართვა უჭირთ და მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი მიზანმიმართულად მიდის, იმიტომ რომ საზოგადოების განათლებაზე არ ზრუნავენ.“
(გორი, მდედრობითი)

ამ მხრივ დევნილები უფრო მეტ მხარდაჭერას არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ხედავენ.

„არასამთავრობოების მხრიდან უფრო არის პოლიტიკური წინ წაწევა, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან.“
(ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მდედრობითი, 48 წლის)

თბილისში ერთ-ერთი დისკუსიისას ასევე გამოითქვა წუხილი იმის გამო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ თავიანთი პროგრამებით, ასევე ნაკლებად ყურადღებას აქცევენ დევნილთა გააქტიურების თემას. ხაზი გაესვა იმას, რომ აქტივიზმის ხელშეწყობის თემებზე საგრანტო კონკურსები იშვიათად, ან საერთოდ არ ცხადდება. ამ პირობებში კი სერიოზული ცვლილებების მიღწევა რთულია.

სოციალური და პოლიტიკური გააქტიურებისათვის განათლების, მათ შორის, სამოქალაქო განათლების, ხელშეწყობა მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში უფრო მივიღებთ მომთხოვნ, აქტიურ მოქალაქეებს, რომელთა აზრის მოსმენა და გათვალისწინება სახელმწიფოსთვის გარდაუვალი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ აქტივიზმის ხელმშემწყობი პროექტები ცხადდება, და ამავ დროულად, კარგად ინტეგრირებული მაღალი სამოქალაქო აქტიურობით გამორჩეული დევნილი ადამიანებიც კი ასეთი შესაძლებლობების შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულები, პრობლემაზე მიუთითებს. ალბათ სწორედ ამიტომაც არ იგრძნობა მასშტაბური ცვლილებები, რადგან აქტიურ, დაინტერესებულ ადამიანებამდე ხშირად ეს პროექტები ვერ მიდის.

სახელმწიფო სტრუქტურებთან დამოკიდებულება

დევნილებთან საუბრებში გამოიკვეთა გარკვეული გაორებული და, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება სახელმწიფოს და დევნილებთან ურთიერთობაში მისი როლისა და მოვალეობების მიმართ. ეს შესამჩნევი იყო არა მხოლოდ დისკუსიებში ზოგადად, არამედ ცალკეული მონაწილეების მიერ გამოხატულ მოსაზრებებშიც. ერთის მხრივ დევნილები თავს მიიჩნევენ სახელმწიფოს შეცდომების მსხვერპლად და ამიტომ სახელმწიფოსაგან მოელიან ამ დანაშაულის გამოსყიდვას, ავალდებულებენ, რომ უნდა უზრუნველყოს მათი ყოველდღიური ყოფა. მეორეს მხრივ, არსებობს იმის შეგრძნებაც, რომ სახელმწიფოზე ასე დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნით დევნილები კიდევ უფრო უძლურები და ადვილად მართვადი არიან. ამ ფონზე, დევნილები

უკმაყოფილოები არიან სახელმწიფოსგან არასაკმარისი ყურადღებით და იმით, რომ თავიანთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ბიუროკრატიასთან ბრძოლა უწევთ. თუმცა, ამის პარალელურად, იმასაც გრძნობენ და აღიარებენ, რომ სახელმწიფო ამ პრობლემებს მათი აქტიურობის გარეშე თავად არ მოაგვარებს.

„მენტალიტეტი ჩნდება დევნილებში, რომ სახელმწიფო ვალდებულია, რომ გაგიკეთოს."

(თბილისი, მდედრობითი)

„მე არც ვარ ვალდებული, მოვიდე და ვითხოვო სათითაოდ და ინდივიდუალურად. პირიქით, შენ, სახელმწიფო რომ ხარ, შენი უნიათობის გამო ვარ მე, როგორც შედეგი. შენ უნდა დარბოდე ჩემთან.

(თბილისი, მდედრობითი)

დისკუსიების დროს მონაწილეებს ვკითხეთ, მათი აზრით ვინ არის მათი ინტერესების რეალური და აქტიური დამცველი სახელმწიფო სტრუქტურებიდან. აღინიშნა რომ, მთავრობაში ორი - ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, არიან წამყვანი სტრუქტურები. ამას გარდა, ცალკე ფუნქციონირებს აფხაზეთის დევნილი მთავრობა. პოლიტიკის განსაზღვრაში კი დიდი როლი პარლამენტს აკისრია. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი სტრუქტურაა, რომელიც დევნილების საკითხებზე მუშაობს, დევნილთა დიდი უმრავლესობის აზრით, მათზე რეალური ზრუნვა არცერთ ამ ორგანოს არ ამოძრავებს.

„მთავრობის მხრიდან, პოლიტიკოსები, გარდა იმისა, რომ კარგ დაპირებებს გვაძლევენ წინასაარჩევნოდ, იმის მერე იკარგებიან საპნის ბუშტებივით მომავალ არჩევნებამდე. გვაქ ბედნიერება მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ ვნახოთ ჩვენი დეპუტატი, ჩვენი მინისტრიც..."

(წყალტუბო, 33 წლის, მდედრობითი)

დევნილთა სამინისტროს მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო კრიტიკულია. ეს განსაკუთრებით იმის ფონზე გამოიკვეთა, რომ 2014 წლის ბოლოსათვის ცნობილი გახდა, რომ სამინისტრო მისთვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების ათვისებას ვერ ახერხებდა.

„დევნილთა სამინისტრო არის სრულიად მკვდრად - შობილი ორგანო. ბიუჯეტის ათვისების პრობლემები კიდევ ერთხელ მიუთითებს როგორი უმოქმედო და უუნაროა ეს სამინისტრო."

(თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

„სისუსტეა მთავრობის, რომ დევნილთა სამინისტროს 7 მილიონი დარჩა აუთვისებელი."

(ხონი, მამრობითი, 73 წლის)

ზოგადი აზრი ისაა, რომ დევნილთა საჭიროებებზე მომუშავე სტრუქტურები საკუთარი თავის შენახვით უფრო არიან დაკავებულები. ამიტომ თვლიან, რომ შტატები და ხელფასები ხელოვნურად გაბერილია. მთავრობას ნამდვილად რომ ჰქონოდა დევნილების დახმარების სურვილი, მაშინ აჯობებდა ეს რესურსები თავად დევნილების საჭიროებებს მოხმარებოდა.

კიდევ უფრო კრიტიკული შეფასებები გამოითქვა აფხაზეთის დევნილი მთავრობის მიმართ.

„ჩვენი აფხაზეთის მთავრობა 1993 წლიდან ერთი და იგივე ადამიანები არიან, უმაღლეს საბჭოს დეპუტატები, იმედგაცრუებული ვართ, არა მგონია კიდევ უახლოეს დროში რამე შეიცვალოს. სანამ ის სახეები არ შეიცვლება, არაფერი არ შეიცვლება ჩვენს ყოფაში."

(ზუგდიდი, მდედრობითი, 38 წლის)

„წარმომადგენლობითი ორგანო არის აფხაზეთის მთავრობა, რომელიც ასევე მკვდრადშობილი ორგანოა. საკუთარი თავის დასაქმების გარდა არაფერს აკეთებს. უნდა უზრუნველყოფდეს დიალოგს სამინისტროსა და სხვადასხვა შტოსთან. მაგრამ ერთადერთი სოხუმის დაცემის დღეს გვირგვინი მიაქვს."

(თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების მიმართ ძირითადი კრიტიკა სწორედ მათ ლეგიტიმურობას და ანგარიშვალდებულებას ეხება. დისკუსიებისას გამოითქვა მოსაზრება, რომ უკვე ოც წელიწადზე მეტია ერთი და იგივე ადამიანებითა და ჯგუფებით არის დაკომპლექტებული ეს ორგანოები და მათ იმდენად კომფორტულად მოიწყვეს ყოფა, რომ თავადაც კი არ აქვთ კონფლიქტის მოგვარების სურვილი.

რაც შეეხება პარლამენტს და პარტიებს, აქაც უნდობლობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ამ ინსტიტუტებთან დამოკიდებულებაში სამოქალაქო და პოლიტიკური ცნობიერების დონის პრობლემაც არის გამოხატული. რადგან ეს ინსტიტუტები უშუალოდ არ არიან აღმასრულებლები, შესაბამისად, ნაკლები უნდა იყოს იმის მოლოდინი, რომ ისინი დევნილებს ინდივიდუალურად რაიმე ხელშესახებ დახმარებას აღმოუჩენენ. მაგრამ, რეალურად, ასეთი მოთხოვნის არსებობის პირობებში, იმედგაცრუება გარდაუვალია.

„არ ვიცით ვის რა მოვთხოვოთ. თუ უკავშირდებიან, თხოვენ – დამასაქმე. და არჩეული თანამდებობის პირის პირდაპირი ვალდებულება არაა, რომ დაგასაქმოს.“ (თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

ცხადია, რომ დევნილთა შორის, საკუთარი ყოფითი პრობლემების გამო, ზოგად პრობლემებზე ფიქრი და აზრის გამოხატვა ნაკლებია. თუმცა, დისკუსიების დროს ისიც გაისმა, რომ სისტემური ხედვაა აუცილებელი და ზოგადად დევნილთა მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის ცვლილება. დევნილებზე გაცემული დახმარების თანხა მინიმალურია და დევნილთა დიდი ნაწილისთვის თავის რჩენის ძირითადი საშუალება არაა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს მცირე თანხა სახელმწიფოსათვის საკმაოდ სოლიდური ვალდებულებაა. დევნილთა ნაწილისთვის, ამ თანხების ინდივიდუალურად გაცემა არაეფექტურია. მათი აზრით, უმჯობესი იქნებოდა გრძელვადიანი შედეგის მომცემ ხარჯებზე და პოლიტიკაზე ფიქრი.

„დახმარების ფული არის ჰაერში გადაყრილი. ახლაც შეიძლება რომ ეს ფული ყოველთვიურად გარკვეულ სოციალურ პროექტებზე იქნეს მიმართული. ერთ დღეს შეწყდება და გავბრაზდები, იმიტომ, რომ სანაცვლოდ არაფერს მივიღებ. არ გავბრაზდები იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩემი (ოჯახის) 225 ლარი მოხმარდება რაღაც სოციალურ პროექტს, რომელიც თუ წელს არა, მომავალ წელს მაინც, კარდინალურად შეცვლის ჩემს ყოფას.“ (თბილისი, მდედრობითი)

რაც უფრო მეტი დრო გადის, გრძელვადიანი დაგეგმვის და მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების საჭიროება განსაკუთრებით უფრო მძაფრდება. დროსთან ერთად პრობლემების სახეც იცვლება და უფრო რთულდება და ბუნებრივად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვიც, ვის საჭიროებებსაც სახელმწიფომ ღირსეულად უნდა გასცეს პასუხი.

„სპეციფიკური პრობლემა აქვს დევნილს. ყველა ითხოვს განსახლებას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ხომ უნდა დაისვას წერტილი ან ზღვარი. იქ დაბადებული ჯერ არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებლით. მე მყავს ოჯახის წევრი, 12 წლის დევნილია და ისიც 10 წელიწადში მოითხოვს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას. ეს არასდროს არ დამთავრდება. დანარჩენი ვინც აქ დაიბადა იმან მაინც მოუაროს თავს. მე ასე მგონია სამართლიანი. თუ ასე გაგრძელდა, არასდროს დამთავრდება დევნილების სოციალური პრობლემა.“ (ზუგდიდი, მდედრობითი, 64 წლის)

ამ ეტაპზე მოქალაქეები რეალურ ბერკეტებს ვერ ხედავენ, რომ სახელმწიფოს გრძელვადიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება და გატარება აიძულონ.

„თუ საკანონმდებლო დონეზე არ დაიწყო მუშაობა იმაზე, რომ რაღაც მოხდეს გაიწეროს კანონში, რომ ეს ადამიანები დაცულები იყვნენ, მაშინ რას იზამ, მართლა თავს დაიწვავ სამინისტროს წინ?“ (თბილისი, მდედრობითი, 39 წლის)

როგორც დისკუსიებიდან ჩანს, დევნილ მოქალაქეებს სამართლებრივი ცნობიერების ნაკლებობა, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა და წარსული მწარე გამოცდილება ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევს.

ლიდერის პრობლემა

დისკუსიების დროს მონაწილეებს ვკითხეთ, თუ რამდენად ხედავენ ისინი დევნილთა თემში ლიდერს, ან თუნდაც თემის გარეთ ადამიანს ან ორგანიზაციას, რომელიც მათი ინტერესების დამცველი იქნებოდა. კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პოზიცია იყო, რომ ასეთი ლიდერი დღეისათვის არ არსებობს.

საუბრისას გამოიკვეთა, რომ დევნილთა უმრავლესობისათვის ცნობილი არაა, რომ პარლამენტშიც და მთავრობაშიც არიან ადამიანები, რომლებიც თავად არიან დევნილები. ამის მიზეზი პირველ რიგში ის უნდა იყოს, რომ ეს პარლამენტარები და მთავრობის წევრები თავიანთ საქმიანობაში ამ წარმომავლობას თუ სტატუსს ხაზს არ უსვამენ და განსაკუთრებულად არც დევნილთა საჭიროებების წარმოჩენით თუ მათთვის ლობირებით არიან გამორჩეულნი. ამ ფონზე, მათ დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის სურათი იმაზე უფრო მძიმედ წარმოუდგენიათ, ვიდრე სინამდვილეშია.

„არც ერთი დევნილი არ არის საქართველოს პარლამენტში, არც ერთი დევნილი არ არის საქართველოს მთავრობაში. ეს სტატისტიკაა, იქნებ არ არის საჭირო, მაგრამ მე ვამბობ იმას, რაც არის.“ (ზუგდიდი, მამრობითი, 59 წლის)

„საკანონმდებლო ორგანოებში უფრო მეტი უნდა იყოს წარმოდგენილი დევნილები, მმართველობით ორგანოებში უფრო მეტი დევნილი უნდა იყოს და ამას

ყურადღება ექცეოდეს. მაშინ იქიდან დევნილის საჭიროებების დანახვა უფრო მარტივი იქნება.“

(ზუგდიდი, მდედრობითი, 61 წლის)

დისკუსიებში მონაწილე დევნილთა უმრავლესობის აზრით, ლიდერის ყოლა საჭირო და სასარგებლოა. თუმცა აქვე გამოითქვა მოსაზრებები, რომ დამოუკიდებელ ლიდერთა ჩამოყალიბება სახელმწიფოსთვის სასურველი არ არის.

„ლიდერის საჭიროება არის, მაგრამ თუ ის არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი ან იმ უწყებებთან ძალიან ახლოს პირი, ვერც ლიდერული თვისებები, ვერც განათლება და ვერც სხვა კრიტერიუმები ვერ შეუწყობს ხელს, რათა ის გახდეს ლიდერი.“

(ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მდედრობითი, 27 წლის)

აქვე გამოითქვა შიშები, რომ ის ადამიანებიც კი, რომლებიც დევნილთა ინტერესების დაცვით მიაღწევენ გარკვეულ ცნობადობას თუ წარმატებას, თანამდებობების მიღწევის შემთხვევაში საკუთარი კომფორტისთვის ზრუნვას უფრო დაიწყებენ. მაგრამ ასევე გამოითქვა უფრო რადიკალური მოსაზრებებიც, რომ დამატებითი ლიდერების შექმნას საერთოდ არ აქვს აზრი. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ არსებულმა მექანიზმებმა იმუშაოს ეფექტურად.

„თუ სამინისტრო არის, 500–600 კაცი მუშაობს, კიდე ვინმე დავიქირავოთ მათგან ჩვენს დასაცავად?“

(თბილისი, მდედრობითი, 40 წლის)

ზოგადად, ყველა დისკუსიისას გამოჩნდა დამოკიდებულება, რომ დევნილთა აზრით, მთავარია პოლიტიკური ნება სადღაც ზევიდან, იმისთვის, რომ რამე გაკეთდეს. ინდივიდუალური აქტიურობის შედეგებს არც მოქალაქეთა და არც ცალკეული პოლიტიკოსების თუ სამოქალაქო აქტივისტების საქმიანობიდან მაინცდამაინც არ მოელიან.

იმ ფონზე, როცა დევნილთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი სტრუქტურების მიმართ მაღალია უნდობლობა და საუბარია იმაზე, რომ 20 წლის განმავლობაში არც ადამიანები, პიროვნებები და არც მათი საქმეები არ შეცვლილა, ბუნებრივად დაისვა კითხვა, თუ რატომ არ მიდიან ახალგაზრდები ამ სტრუქტურებში და ზოგადად, რატომ არ ჩანან ახალი სახეები. ამ კითხვაზე პასუხიც მეტწილად ამ სტრუქტურების ჩაკეტილობაზე და ცუდ რეპუტაციაზე მიანიშნებს.

„პირველ რიგში არ არის მაღალანაზღაურებადი და მათთვის საინტერესო. განვითარების საშუალებას იქ მუშაობა არ აძლევს. მაფიასავითაა, ერთი და იგივე ხალხის კლანსა აქვს ყველაფერი ხელში აღებული. ნებისმიერ სამინისტროში და სტრუქტურაში უფრო მარტივია შენი შესაძლებლობებით მოხვდე, ვიდრე ამ უწყებებში. ანუ ნეპოტიზმის სიმბოლო არის.“

(თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

მოსახლეობის მხრიდან დაბალი ნდობის პირობებში, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უწყებებმა უკეთ შეძლონ მათთან კომუნიკაცია და იმის ახსნა, თუ როგორია მათი მანდატი და საქმიანობა. ამასთან, სახლემწიფოს მხრიდან აუცილებელია მოქალაქეთა გააქტიურებაზე ზრუნვა და მათთან აქტიური ინტერაქცია.

სამშვიდობო პროცესი

დისკუსიებში მონაწილე დევნილთა უმეტესობისათვის არსებული სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატი არასაკმარისია. ზოგადი აზრი ისაა, რომ ამ მოლაპარაკებებსა და ურთიერთობებში დევნილები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. სახალხო დიპლომატიას მონაწილეები ყველა დისკუსიისას ახსენებდნენ და ხაზს უსვამდნენ იმას, რომ უფროსი თაობისათვის, რომელსაც პირადი კონტაქტები დღესაც აქვს აფხაზურ მხარესთან, გაცილებით უფრო ადვილი იქნება მეორე მხარესთან საერთოდ ენის გამონახვა. მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ახალგაზრდა თაობისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დევნილობაში დაიბადა, გაცილებით უფრო ნაკლებად სავარაუდო შეიძლება იყოს როგორც ემოციური ჩართულობა, ისე კავშირების დამყარება. თუმცა, ამის საპირისპიროდ ისიც იყო ნახსენები, რომ ინტერნეტისა და სოციალური ქსელების საშუალებით ახალგაზრდა თაობას შეიძლება უფრო მეტადაც გაუადვილდეს არაფორმალური კავშირების დამყარება აფხაზ თანატოლებთან.

მოლაპარაკებებში უშუალოდ დევნილთა ნაკლები მონაწილეობის თაობაზე დისკუსიებში გამოიკვეთა, რომ დევნილების აზრით, ზოგადად, მოლაპარაკებების ქართველ მონაწილეებს ხშირად დევნილთა ტკივილისა და ინტერესების არ ესმით.

„დევნილების მონაწილეობა არ არის დიდი, არადევნილები არიან უფრო წარმოდგენილი – არც ემოციური ჩართულობა აქვს და არც ფსიქოლოგიური პრობლემები ესმით. არანაირ კავშირში არ არიან, პაეზდკებია მათთვის.“

(თბილისი, მდედრობითი, 39 წლის)

ზოგადად ასეთივე იმედგაცრუება ჩანს აფხაზეთის დევნილი მთავრობის მონაწილეობის მიმართაც.

„იგივე სიტყვებით, იგივე ტონალობაში, იგივე სურათს უყურებ, იგივე ტექსტს უსმენ, რასაც 20 წლის უკან. ერთადერთი, მხოლოდ თმა აქვს გაჭაღარავებული“

(მდედრობითი, თბილისი, 36 წლის)

თუმცა დისკუსიისას ისიც აღინიშნა, რომ შესაძლოა მოლაპარაკებების ნაკლები ეფექტურობის ახსნა ისიც იყოს, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებების და კონტაქტის ფორმატს ვერ აკონტროლებს. საერთაშორისო მედიატორებისა და დონორების შემოთავაზებული წესებით მოქმედებისას კი ერთი და იგივე ჯგუფები და ადამიანები ხდებიან მონაწილეები. ერთ–ერთ ასეთ პრაქტიკულ ბარიერად, გარდა უკვე ნახსენები მიზეზებისა, რუსული ენის ცოდნაც დასახელდა. ეს პრობლემა, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მონაწილეობას შეიძლება უშლიდეს ხელს, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში რუსული ენის ცოდნის დონემ დაბლა დაიწია და ძირითადი უცხო ენა ინგლისური გახდა.

„ჩვენ არ ვმართავთ, პულტი არ გვაქვს ჩვენ. ასეთი საერთაშორისო შეხვედრები რომ არის, ყოველთვის ვიღაცა გეგმავს და გეუბნება, ვინმე სამი დევნილი, ოღონდ რუსული რომ იცოდეს. ანუ, წესები მათია. ძალიან ბევრი ქართველი, რომელიც ძალიან აქტიურად მუშაობს ამ საკითხზე და გულმხურვალეა, შესაძლოა შესანიშნავად ფლობდეს სხვა ენას და რუსულს არა, მარტო იმიტო ვერ წავა, რომ იქ რუსულია მოთხოვნილი. და ხშირად გამიგია, რომ რუსულის გამო ასეთი რამე მოხდა.“

(თბილისი, მდედრობითი, 27 წლის)

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დისკუსიაში დევნილთა მონაწილეობაზე გამახვილდა ყურადღება, მხოლოდ ერთმა მონაწილემ გაუსვა ხაზი იმას, რომ ასეთ მოლაპარაკებებსა და შეხვედრებში მონაწილეობისათვის წინასწარი მომზადებაა საჭირო. ამ მომზადებაში იგულისხმება როგორც საკითხების მომზადება, ისე ფსიქოლოგიური მზაობაც. თუმცა კი დევნილთა უმეტესობას არადევნილების მონაწილეობის წინააღმდეგ ის არგუმენტი აქვს, რომ მათ ემოციური კავშირი არ აქვთ საკითხთან. თუმცა სწორედ ეს ზედმეტი ემოციურობა ყველაზე მეტად ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ დევნილებთან და მათ წარმომადგენლებთან მუშაობა აუცილებელია მათი რესურსის ეფექტურად გამოსაყენებლად. მაგრამ ამ ეტაპზე ამგვარი სამუშაო ნაკლებად მიმდინარეობს.

სამშვიდობო პროცესში დევნილთა არასაკმარის მონაწილეობაში პრობლემას სახელმწიფო უწყებებშიც ხედავენ. დევნილთა დიდი ნაწილის აზრის მიუხედავად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ქეთევან ციხელაშვილის ცნობით, ჟენევის მოლაპარაკებებში ჩართული ჯგუფის რამდენიმე წევრი თავად დევნილია, მაგრამ ისინი ამ ნიშნით არ ყოფილან შერჩეული. ციხელაშვილმაც თქვა, რომ მისი უწყება დაინტერესებულია ამ მდგომარეობის ცვლილებით დონორთა მიერ დაფინანსებულ ნდობის აღდგენის სხვადასხვა პროექტში. თუმცა ამ ეტაპზე დევნილთა ცალკეული ჯგუფები ამ პროექტებში იშვიათად მონაწილეობენ.

გამოსავლის ძიება

დევნილები თავს უსამართლოდ დაჩაგრულებად და გაჭირვებულებად თვლიან. ეს დაჩაგრულობის შეგრძნება და ამის გამო არსებული ბრაზი და უნდობლობა კი ინტეგრაციის პროცესს უშლის ხელს. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებისადმი უნდობლობა, ზოგადად, პოსტ-საბჭოთა მენტალიტეტის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც დევნილებშიც ისეთივე აქტუალურია, როგორც დანარჩენ საზოგადოებაში. თუმცა ამ უნდობლობის პირობებშიც კი, ზრუნვა სწორედ სახელმწიფოსგან მოითხოვება.

იმისათვის, რომ წინ წავიდეთ და გადავლახოთ წარსული, პირველ რიგში პირადი აქტიურობაა მნიშვნელოვანი. პირადი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელი იქნება ტრავმების გადალახვა და განვითარება. თუმცა აქ სახელმწიფოს ხელშემწყობი როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

დევნილობა არ უნდა გავიგოთ როგორც გაჭირვება. დევნილობა უნდა გავიგოთ, როგორც გადატანილი ტკივილი. ოღონდ გადატანილი და არა განგრძობადი. დღევანდელი ჩვენი დევნილები არიან ამ განგრძობად ტკივილში და ეს უნდა გადავლახოთ. და რა თქმა უნდა, ხელისუფლების ვალია, რომ ეს კარგად და ღირსეულად გადაალახინოს.

(საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, დევნილი)

დევნილების ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს დანაშაულიც ცხადია. წლების განმავლობაში დღის წესრიგში არ იდგა საკუთრების გადაცემის საკითხი და დევნილები სამგზავრო, დღეს ან ხვალ აუცილებლად შინ დაბრუნების განწყობით ცხოვრობდნენ. ასეთ განწყობებსა და პირობებში კი განვითარება, ინტეგრაცია და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბება ძალიან რთულია. დღეს არსებულ რეალობაში კი, როდესაც აქცენტი დევნილი მოქალაქეებისათვის საკუთრების გადაცემაზეა, უფრო რეალურია კუთვნილების და დაფუძნების შეგრძნების განვითარებაც. როგორც ჩვენი ფოკუს ჯგუფებიდანაც გამოიკვეთა, ეს მართლაც ცენტრალური საკითხია ინტეგრაციისა და აქტივიზაციისათვის.

მიუხედავად დევნილებში არსებული მძიმე სოციალური ფონისა, მათი გააქტიურებისა და სახელმწიფოზე დამოკიდებულების შესამცირებლად თავად დევნილების მიერ საკუთარ თავზე ინიციატივის აღების მეტი მცდელობის გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ. ამ მცდელობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილობრივ თვითმმართველობებთან აქტიური ურთიერთობებია, რადგან სწორედ თვითმმართველობების კომპეტენციაა იმ საკითხთა უმრავლესობის მოგვარება, რომლებითაც დღეისათვის მოქალაქეები დეპუტატებს თუ მინისტრებს მიმართავენ.

სოციალურ ინტეგრირებას გამოიწვევს ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა რომ იღებს გადაწყვეტილებას, ამ პროცესში მივიღოთ მონაწილეობა. და ეს კი არ მოვითხოვოთ როგორც დევნილებმა, არამედ როგორც იქ მაცხოვრებლებმა უნდა მოვითხოვოთ. აქედან დაიწყება სოციალური აქტივობაც და პოლიტიკური აქტიურობაც.

(საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, დევნილი)

დევნილები მოცემულ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები სხვა მოქალაქეებისაგან არ უნდა განსხვავდებოდნენ ადმინისტრაციული ერთეულის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. ხოლო თუ თავის განსხვავებულ საჭიროებებს დაამტკიცებენ, მაშინ ექნებათ უფლება მოითხოვონ დამატებითი მომსახურებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება, რომ დევნილებით დასახლებულ უბნებში უფრო ნაკლებად იქნება ხელმისაწვდომი საზოგადო სიკეთეები, მაშინ იქნება შესაძლებელი საუბარი დისკრიმინაციაზე. ამ საკითხზე სათანადო რეაგირებისათვის კი კვლავ ინდივიდუალური აქტივიზმი იქნება შეუცვლელი. და არა პოლიტიკური გადაწყვეტილების ზემოდან მოლოდინი. საკუთარი იდეების და გამოსავლების გზების მთავრობისთვის გაზიარების გარეშე, შესაძლოა, არსებული კარგი იდეები განხილვის გარეშე დარჩეს. აქტიური მოქალაქეობის პირობებში და იმ შემთხვევაში, როცა დასახლების თუ კორპუსის პრობლემების გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობებთან ამხანაგობები იმუშავებენ, ლიდერები ბუნებრივად გამოჩნდებიან.

ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებები განათლების საჭიროებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია. ზოგადად ქვეყანაში არსებული ხარისხიანი განათლების პრობლემიდან გამომდინარე, არა მხოლოდ დევნილი მოსახლეობისათვის დგას ეს საჭიროება. თუმცა, დევნილთა წინაშე სახელმწიფოს განსხვავებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება განათლების საკითხებისადმი მეტი ყურადღება და ამ მიმართულებით სპეციალური პროგრამების შემუშავება. დისკრიმინაციის თემაზე კი ტრენინგები და სწავლებაა საჭირო, თუ როგორ იგრძნონ დისკრიმინაცია და რა მოიმოქმედონ ასეთ სიტუაციაში.

გასაგებია აფხაზეთის ლეგიტიმური ორგანოების მიმართ დევნილებს შორის გამოკვეთილი უარყოფითი დამოკიდებულებაც. ამ ორგანოების შენარჩუნება სამართლებრივ-პოლიტიკური კავშირია აფხაზეთთან, მაგრამ ამის მიღმა დგას ამ ორგანოების პრაქტიკული საჭიროება და სარგებლიანობა. ეს საკითხები კი დღეისთვის შესწავლილი არაა. დღეისთვის, მაგალითად, არც ის არის ცნობილი, რა მოხდება, როცა უმაღლესი საბჭოს ჯერ კიდევ აფხაზეთში არჩეული დეპუტატები უკვე აღარ იქნებიან.

ის ფაქტი, რომ დევნილები არ ჩანან წამყვან პოზიციებზე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ მონაწილეობენ სახელმწიფო მმართველობაში ყველა დონეზე, ან არ არიან ცნობადი სახეები სამოქალაქო და მედია სივრცეში. თუმცა, ის ფაქტი, რომ ასეთი ადამიანების მხრიდან ნაკლებად ხდება როგორც საკუთარი საქმიანობის დევნილთა თემასთან და დევნილობასთან ასოცირება, ასევე დევნილებთან, როგორც ცალკე ჯგუფთან საკუთარი თავის პოზიციონირება, უკვე ნიშანდობლივია და ეს ტენდენცია ცალკე ყურადღებას მოითხოვს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩვენს მიერ ჩატარებული დისკუსიებისას გამოჩნდა, რომ დევნილები თავს კვლავაც დაჩაგრულად და სტიგმატიზებულად განიხილავენ. მათი მხრიდან სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ უნდობლობას, ზოგადი ფონის გარდა ის უკმაყოფილებაც ერთვის, რომ ისინი დევნილებად და დაჩაგრულებად სახლემწიფოს არასწორმა პოლიტიკამ აქცია. მას მერე 20 წლის განმავლობაში კი სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათი ზიანის ღირსეულად ანაზღაურება. ამ ვითარებაში ისინი მეტ დახმარებას მოელიან სახელმწიფოს მხრიდან და თვლიან, რომ ამ დახმარების თხოვნის კი არა, მოთხოვნის უფლება აქვთ. ამ დახმარებას დევნილები ფართე და სხვადასხვანაირ რაკურსში განიხილავენ და მატერიალურთან ერთად, სოციალურ, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვისა და უამრავი სხვა ტიპის პროგრამას მოიაზრებენ.

დევნილობის წლების განმავლობაში ინტეგრაცია, ბუნებრივად, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დასაწყისში. მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს დევნილებს შორის საცხოვრებლის მიხედვით. კოლექტიური დასახლებების მკვიდრნი გაცილებით უფრო ნაკლებად ინტეგრირებულნი და სახელმწიფოზე დამოკიდებულნი არიან, ვიდრე კერძოდ მცხოვრებნი. ამ ნიშნის მიხედვით სოციალური აქტიურობაც განსხვავებულია.

დევნილთა უმეტესობის აზრით დევნილები, როგორც ჯგუფი, აქტიურია, მაგრამ ერთიანი ლიდერის საჭიროებას მაინც ხედავენ და ელიან ადამიანს, რომელიც მათ პრობლემებსა და საჭიროებებზე ილაპარაკებს მთავრობასთან და წარმატებებსაც მიაღწევს. თუმცა, ამ ეტაპზე, ასეთ ლიდერად არავინ ეგულებათ. ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალურ აქტივობაზე ჩვენს დისკუსიებში მონაწილეთა დიდ ნაწილს ხელი აქვს ჩაქნეული და ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად ზემოდან მომავალ პოლიტიკურ ნებას ელის. ამ მხრივ, ნაკლები მოლოდინია მმართველობის დაბალი რგოლის და თვითმმართველობების მიმართ.

პირადი აქტიურობის შედეგების ნაკლები მოლოდინი მხოლოდ დევნილებისათვის არ არის დამახასიათებელი და ზოგადად ქართული საზოგადოების ნიშანია. ეს ნაწილობრივ სამოქალაქო განათლებისა დეფიციტის შედეგიცაა.

ამ მიგნებების ფონზე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამები და საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით გააქტიურდეს:

- სახელმწიფომ უნდა განახორციელოს თანმიმდევრული ინტეგრაციული პოლიტიკა დევნილთა მიმართ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ყველა ძირითადი ინტეგრაციული კომპონენტის ტოლძალოვანი ამოქმედების მიმართულებით;

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მიმართული ზოგადი პოლიტიკისა და შედეგზე ორიენტირებული ცალკეული პროგრამების განხორციელება. აუცილებელია არსებული რესურსები მიმა-რთული იყოს დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი და მდგრადი მოგვარებისაკენ ისე, რომ პროცესები გამართული იყოს და ღირსების შემლახავად არ აღიქმებოდეს;

- მნიშვნელოვანია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების პროცესი მაქსიმალურად მოკლე ვადებში და განსახლების კრიტერიუმების დაცვით იქნას განხორციელებული;

- განსახლების, საარსებო წყაროებთან წვდომისა და სხვა პროგრამების შემუშავების პროცესში საჭიროა დევნილთა არა მარტო საჭიროებების, არამედ შესაძლებლობების შესწავლა და მათი, როგორც რეალური რესურსის, სწორი გამოყენება;

- მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააძლიერონ საკუთარი მედიატორიული ფუნქციები დევნილ საზოგადოებასა და სამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებს შორის ურთიერთობაში;

- მნიშვნელოვანია, რომ როგორც ადგილობრივმა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა

მეტი ყურადღება დაუთმონ დევნილთა სამოქალაქო და პოლიტიკური გააქტიურების თემას და გააუმჯობესონ კომუნიკაციის არხები მათთან;

- მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების მეტი ღიაობა და თანასწორი მიდგომების დამკვიდრება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქის, მათ შორის დევნილების მიმართ;

- არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად უნდა გააქტიურონ მუშაობა ამხანაგობების, საინიციატივო ჯგუფების, სოფლის კრებებისა და სხვა გაერთიანებების შესაქმნელად და მასში როგორც დევნილი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩასართავად;

- სასურველია მას-მედიის საშუალებმა მეტი ყურადღება დაუთმონ დევნილთა თემატიკას, მათ შორის პოზიტიური მაგალითების დემონსტრირების ფონზე, რაც ხელს შეუწყობს დევნილის ე.წ. „სტიგმის“ შემცირებასა და მისი ახალი იმიჯის ფორმირებას;
- აუცილებელია დევნილთა პრობლემატიკის მეტად წარმოჩენა პარტიების პოლიტიკურ პროგრამებში; ასევე მნიშვნელოვანია არჩევნებში დევნილთა მონაწილეობის გააქტიურებისათვის ყურადღების დათმობა, როგორც პასიური, ასევე აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის კუთხით, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ისე ეროვნულ დონეზე;

- მნიშვნელოვანია აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ოპტიმიზაცია მათი მუშაობის ეფექტიანობისა და დევნილთა საჭიროებებზე ორიენტირებულობის გაზრდის მიზნით;

- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს დევნილი მოსახლეობის ეფექტურ ჩართულობას სამშვიდობო და ნდობის აღდგენის ღონისძიებებში. ადგილობრივმა და საერთასორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა დევნილთა არსებული რესურსის ეფექტურად გამოყენების მიზნით უნდა გააააქტიურონ დევნილებთან და მათ წარმომადგენლებთან მუშაობა მონაწილეობისა და ღიაობის პრინციპების დაცვით.

Seeking Solutions: Opportunities for Political and Social Participation of IDPs

After gaining independence the most traumatic experience for Georgia has been the separatism and resulting conflicts. As a result of these conflicts one fifth of the country's territory is outside the control of the Georgian government. Hundreds of thousands of citizens, mainly ethnic Georgians from Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali Region have become internally displaced. For more than 20 years of displacement these people have gone through a lot, including poverty, stress, stigma and deprivation. Despite the fact that stigma and dependence on humanitarian aid have now long been in the past and Internally Displaced Persons (IDPs) are much more integrated and independent today, the state cannot do much for the IDP citizens to be publicly and politically active. At the same time, active engagement of citizens to improve their own living conditions and protect their interests is irreplaceable in a democratic system.

This research aims to show IDP's social and political participation needs, opportunities and problems through the eyes of IDPs themselves, so that ways for addressing these issues can be better planned. We hope that this report will be useful for governmental bodies and donor organisations as well as IDP communities so that they can better see their opportunities.

We have used focus groups as the main research method to be able to capture IDPs' views and assessments better. There were 10 focus groups held throughout Georgia, covering the following regions: Poti, Zugdidi, Khoni, Kutaisi, Tskaltubo, Gori and Tbilisi. Besides discussions, existing literature on the relevant topics was reviewed and interviews were held with local and central government representatives.

Conclusions and Recommendations

During the discussions we discovered that IDPs still consider themselves as looked down at and stigmatized. They have general mistrust towards state bodies, which in addition to the general background, is motivated by dissatisfaction with the state's wrong policy that has made them internally displaced and marginalized. Since the conflict, for 20 years the state has not been able to compensate their losses. Under these circumstances IDPs expect more support from the State and are of the opinion that they are entitled to it, rather than having to ask for it. IDPs view this support in many dimensions. In addition to monetary aid they think of social, educational, health care and other programmes.

After all these years, the integration level of IDPs is naturally much higher than it has been in the beginning. However, there is a stark difference according to the places of residence. Residents of collective centers are less integrated and much more dependent on the state than those IDPs living in private housing. Social engagement levels are also different according to the place of residence.

It is note worthy, that large parts of IDPs participating in the discussions are no longer optimistic about being active individually and are expecting political will from above for making any kind of decision.

In this regard, there are low expectations towards local self-governments. We think it is important to focus programmes of State and international organisations' in the following directions:

- The State must implement consistent integration policy towards IDPs by equally activating all main integration components on Local and Central level;
- The State must ensure implementation of general policy and specific results-oriented programmes directed towards meeting IDP needs. It is necessary to focus existing resources on long-term and sustainable solutions to IDP problems in a way that the processes are effective and are not perceived as humiliating to IDPs.
- It is important to implement the process of IDP long-term housing in as short deadlines as possible, in accordance to the resettlement criteria;
- Process of development of plans for provision of housing and access to livelihoods, or other programmes must assess not only needs but also opportunities of IDPs and make use of their resources;
- It is important that the non-governmental organisations strengthen their mediation functions in the relations between the IDP community and State bodies as well as international structures;
- It is important that local as well as international organisations pay more attention to civic and political activation of IDPs and improve communication channels with them;

- It is important for the Local Self-Governments to be more open and to establish equitable approach towards all residents of the self-government territorial units, including IDPs;

- Together with Local Self-Government bodies, NGOs must be more active to support establishment of local associations, initiative groups, village councils and other formations and to promote inclusion of IDPs and local population in these initiatives;

- It would be desirable for media outlets to pay more attention to IDP topics, including demonstration of positive examples, which would help to break down the stigma of IDPs and help to form a new public image;

- It is important to present IDP problems more prominently in the programmes of political parties; it is also important to focus more attention on increasing IDP participation in elections, both in terms of passive as well as active electoral rights, both for local as well as national elections;

- It is important to optimize the Abkhazia's Legitimate Government structures in order to increase their effectiveness and orientation towards IDP needs;

- The state must support effective participation of Internally Displaced Persons in peace and confidence building activities. In order to use IDPs' existing resources in an effective way, government must take more active measures in working with IDPs and their representatives in the spirit of participation and openness.